№ 211 ოქტომბერი 9, კვირა 1888 ოქტომბერი 9, კვირა № 211

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებისა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ქართული თეატრი

დღეს, 9 ოქტომბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

არსენა

დრამა სამს მოქმედ., მოჩხუბარიძისა.

II

პირველად

სიძე და სიმამრი

ვოდევილი 1 მოქმედ. ფრანგულიდგან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, მელიქოვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, გამყრელიძე, აწყურელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 8 ოქტომბერი

შვიდს ამ თთვისას ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა მათ უდიდებულესობათა საბადურში მიეგება და გაუმართა საუზმე. ამის თაობაზე გაზეთ „Новое Обозрѣніе"-ში შემდეგს ვკითხულობთ: «სამეფო პავილიონი გამართული იყო საბადურის ალმართის თავში, სადაც იწყება ერწოს ხეობა. საბედნიეროდ, ეს ადგილი საუკეთესო ადგილად შესაძლოა ჩაითვალოს კავკასიაში. თვალ-წინ გადაშლილი იყო ფართო მინდორი, ტყიან - მთებით გარშემოვლებული, უზარ-მაზარი კავკასიონის მთები და დიდებული ყაზიბეგი.

საჩქაროდ აშენებული პავილიონი მორთული იყო სხვა-და-სხვა ფურცლეულობით, დროშებით, ვენზილებითა და ყვავილების ხვეულებით. ამ ფურცლეულობაში მოსჩანდა ვაზის ხეები ყურძნის მტევნებით და ხეხილის ტოტები, რაიცა აძლევდა პავილიონს ნამდვილს ქართულს ხასიათს. მოედანზე პავილიონის უმთავრესის ფასადის წინ, მარჯვენით და მარცხნით, აგებულია ქართული ფანჩატურები, სიგრძით ფეხის ას-ასის ნაბიჯისა. წინა საღამოს წვიმა მოვიდა და ამიტომ თავად-აზნაურობა ძალიან შეწუხებული იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, დილას დარი დადგა. რათა სამეფო სტოლის მახლობლად ყოფილიყვნენ, თავად-აზნაურობის სტოლები გაშალეს თვით პავილიონს წინ.

სრული თერთმეტი საათი იყო, როცა უავგუსტოესნი სტუმარნი მობრძანდნენ და გაჩერდნენ პავილიონის შესავალთან; ასტყდა „ურას" ძახილი და მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ ტფილისის გუბერნიის მარშალი თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, მაზრის მარშლები, დიდ-ძალი თავად-აზნაურობა, ქალი და კაცი. კნეინა ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკისამ, რძალმა გუბერნიის მარშლისამ, მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას მიართვა ცოცხალის ყვავილების კონა.

მეფის სუფრაზე ორმოცის კაცის დასასხდომი იყო.

სია სანოვაგეთა:

1) ჩიხირთმა ქათმისა.
წვენი კუპატებით.
2) კალმახი, ზუთხი ქართულად.
3) ბეჭი ქართულად, საწებელი.
4) ფლავი ხოხბით, შვინდით.
5) თურაჯი, მწვადები, ქართული წნილები.
6) ლობიო ქართულად.
7) მასედუანი საზამთროში,
ხილეულობა, ჩაი, ყავა.

ეს სია დაბეჭდილი იყო რუსულად და ქართულად, სიაზე გამოხატული იყო რუმბი, სალვინეები, ქართული სხვა-და-სხვა საკრავები და სხვ.

სუფრაზე ხელმწიფე იმპერატორის მარჯვენით ისხდნენ: კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა, მემკვიდრე ცესარევიჩი, გრაფინია გოლენიშჩევ-კუტუზოვისა და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე.

ხელმწიფე იმპერატორის მარცხნით ისხდნენ ხელმწიფე იმპერატრიცა, გუბერნიის მარშალი თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს მეუღლე ე. ბ. შერემეტევისა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და გრ. ე. გ. შერემეტიევი.

ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცის პირდაპირ ადგილი თავისუფალი იყო და მათ უდიდებულესობათა წინ მოშორებით ისხდნენ სადილად თავად-აზნაურები და დიდძალი ხალხი, სოფლებიდგან ჩამოსული.

შუა სადილზე გუბერნიის მარშალმა მიირთვა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო; გაისმა ძლიერი და ხანგრძლივი „ურა!" და ქართულად „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა" (Боже, царя храни). თავადი ნიკო გულბაათის ძემ ჭავჭავაძემ «ჩვენებურადა, ძველებურადა» უსვენებლივ დასცალა ვეებერთელა ყანწი. ამას შემდეგ გუბერნიის მარშალმა მიირთვა ხელმწიფე იმპერატრიცას სადღეგრძელო, რომელსაც ურას ძახილითა და გამოუთქმელის აღტაცებით მიეგება საზოგადოება. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ინება და მიირთვა სადღეგრძელო „ქართველის ქველისა და მხნე თავად-აზნაურობისა". შემდეგ მიირთვეს სადღეგრძელო მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრებისა—გიორგი ალექსანდრეს ძისა და მიხეილ ნიკოლოზის ძისა.

საუზმის დროს უკრავდა თერგის ყაზახის ჯარისა და კავკასიის მსროლელთა დრუჟინის მემუსიკეთა დასები და საზანდრები. ბ-ნის აღნიაშვილის ხოროს მგალობლები, ჩინებულად მორთულები, გაბედნიერდნენ და მიიქციეს მათ უდიდებულესობათა ყურადღება. სხვათა შორის ბ-ნის აღნიაშვილის ხორომ იმღერა: „მიყვარს ფაცხა მე მეგრული", „თამარის დროშა გაშალეს" და «მაღლა ცაზე მ მვიდ დარია». აგრეთვე მათ უდიდებულესობათა ყურადღება დაიმსახურა ტფილისში კარგად ცნობილმა მომღერალმა აბდულ-ბაღიმ.

საუზმის დროს საქართველოს თავად-აზნაურობამ მიართვა მათ უდიდებულესობათ და მათ უმაღლესობათ ვერცხლის მოსევადებული რამდენიმე სურა, კულა და აზარფეშა, რომელზედაც ეწერა: «ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან, საბადური, 7 ოქტომბერს 1888 წ.».

საუზმე დასრულდა ორს საათსა და თხუთმეტს წუთზე და მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ ავჭალას. ჩინებული ტაროსი იდგა.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ „წერა კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას" უკვე მიუღია ნებართვა ამიერ-კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან ქართულის სკოლის გამართვისა კავკავში.

⁂ ჩვენ გვწერენ, რომ 6 ამ თვეისას თელავში გარდაიცვალა ალექსანდრე ცხვედაძე, დამაარსებელი საგარეჯოს დეპოსი და შემნახველ-გამსესხებელის ამხანაგობისა და სოფ. საგარეჯოს სკოლის მასწავლებლად ნამყოფი.

⁂ **დ. ცხინვალიდგან** გვწერენ: 8 სექტემბერს, ღვთის-მშობლობა დღეს, უხიფათოდ არ ჩაუვლია ჩვენთვის. ცხინვალის მახლობლად, ექსის ვერსის სიშორეზე, რამდენიმე შეზარხოშებული ოსი ერთმანეთს წალაპარაკებია და ერთი-ერთმანეთისათვის შეუტევიათ. როგორც იყო, დამსწრე კაცებს გაუშველებიათ მოჩხუბარნი და შემდეგ თავ-თავიანთს სახლში დაბრუნებულან. გზაზე ერთი გაბოროტებული ოსი გადაჰლობებია თავისს მოგზაურებს და რევოლვერი დაუხლია იმათთვის. ერთი ხელში დაუჭრია და მეორეს ტყვია გულში მოხვედრია. ეს უკანასკნელი მეორე თუ მესამე დღეს კიდეც გამოესალმა ამ წუთი-სოფელს.

⁂ **რაჭა**: მთის რაჭას შეადგენენ შემდეგი სოფლები: ღები, ჭიორა,

---

ფელეტონი

ნათლი-ღება ღამეს

მოთხრობა

I

მთაწმინდის კლდის ნაპრალზედ მიკრულია, როგორც არწივის ბუდე, ერთი პატარა ქოხი. ეს ქოხი ორსართულიანია. ქვეითა სართული ნაშენია ამავე კლდის ნამტვრევებით და ზემოთა-კი—ფიცრულია. ორთავ სართულში თითო-თითო პატარა ოთახია თავისისავე პატარა სამზარეულოთი.

ქუჩა, რასაკვირველია, აღარ მიდის ამ სიმაღლემდე, მხოლოდ ვიწრო ბილიკი, კიბე-კიბედ ამოჭრილი პიტალო კლდეში, მიიკლაკნება იმ პატარა კიბემდის. ამ ქოხს წინ ხელის ოდენა, კლდეშივე გამოჭრილი ეზო აქვს.

ქვეითა სართულის კარი ზამთარ-ზაფხულ სულ ღია იყო და კარებში მუდამ იჯდა ფარდაგის ნაფხრეწზედ ხნიანი დედაკაცი ქეთევანა. ქეთევანას დიდრონი სათვალეები ჰქონდა ცხვირზედ ჩამოცმული და განუწყვეტლივ აკონკებდა თოლუხჩების საცვლებს; ქეთევანას ხელობა ეს გახლდათ და სამუშაოც მუდამა ჰქონდა. ბოგანოდ გადმოვარდნილი აისორი თითო-ოროლა გროშს არ იშურებდა და, დაეხოდა რამე თუ არა, ქეთევანასთან მიარბენინებდა დასაკერებლად. ქეთევანაც დინჯად, აუჩქარებლივ, დიდის მოსაზრებით ადებდა ფლასებს ამოგლეჯილსა და დახეულს ტანისამოსს და სცდილობდა საკერებელი ცოტათი დასტყუბოდა ნაგლეჯს საცვლებს.

ქეთევანას ერთი სხვა სალხარიცა ჰქონდა ცხოვრებისა. ეს სახსარი იყო ზემო სართული ქოხისა. იმ ზემო სართულში თვეში ორ მანათს იღებდა ქირას. ოჰ, ეს ორი მანათი ამისათვის ძრიელ საჭირო იყო, ძრიელ. უამ ორ მანათოდ სიცოცხლე არცკი შეეძლო თითქმის, ამიტომ რომ ძველების დაკერება იმდენსაც არ აძლევდა, რომ თითონ და თავისი ათის წლის შვილი-შვილი შიმშილით არ დახოცილიყვნენ; თორემ ქეთევანა ერთს დღესაც არ დააყენებდა იმ საძაგელს, ლოთს იტალიელს, რომელიც ყოველ დღე სწამლავდა იმისს მყუდრო, შრომის მოყვარე ცხოვრებას. იტალიელი ყოველ დღე ბარბაცით ამოვიდოდა ხოლმე ვიწრო ბილიკზედ და, შევიდოდა თუ არა თავისს სადგურში, ასტეხდა ერთს საშინელსა და დაუსრულებელს წივილ-კივილს თავისს ცოლ-შვილში. ბავშვების ღრიალი, დედაკაცის წივილი განუწყვეტლად ყურში ედგა საწყალს ქეთევანას და გულს უწუხებდა სიბრალულით. ბევრჯელ გადასწყვეტა დაეთხოვა სახლიდამ ეს უცნაური ოჯახობა, მაგრამ ორი მანათი, ის წყეული ორი მანათი, ის დიდი იმედი პატარა შაქროს აღზრდისა, ხმას გააკმენდინებდა ხოლმე ყოველთვის. მაგრამ არა, ქეთევანა, სწორედ რომ ვსთქვათ, მარტო ორ მანათსაც არ ეხარბებოდა. ებრალებოდა იმ უმსგავსის ლოთიბაშის სახლობაც: იმისი ცოლი, ერთი საცოდავი ჭლექით ავადმყოფი, ჩუმი, წყნარი, უსიტყვო ქმნილება და ორი საბრალო, პატარა გომბიო, რომელნიც თავისის აგებულებით უფრო ჰგავდნენ ჩამომხმარს დედას, მანამ დათვრეულით გაფუნდრუკებულსა და თეთრ-წითლად გალევებულს მამას.

აი დღეს ნათლი-ღება საღამოა, მთელი ქალაქი სიხარულსა და მოძრაობაშია. აქ, ამ სიმაღლეზედ, საიდგანაც მთელი ტფილისი თავიდგან ბოლომდე ხელის გულივით გადაშლილი მოსჩანს, უფრო მძლავრად მოისმის ხალხის ხმაურობა და მოძრაობის ჟრიამული. შეღამდა. რა საშინლად ჰყინავს, მაგრამ მყუდრო და მოკრიალებული საღამოა, ჰაერი არ იძვრის, ცა მოჭედილია ვარსკვლავებით, მაგრამ განათებული ქალაქი თავისის სადღესასწაულოდ გაჩაღებულის ფანჯრებით ნაკლებად არა ჩახჩახებს სიბნელეში. ქეთევანა თავისის სახლის კარებში სდგას და გადაჰყურებს წინ გადაშლილს სურათს. ეკკლესიის გუმბათები და დიდროვანის სახლების მოხაზულობანი ბუნდად მოსჩანს, შორიდგან შავად გაწოლილი მტკვარი ორად ჰყოფს ქალაქს და თითქო უფსკრულამდე ჩააქვს თავისი ჩაბნელებული ღელე. ქეთევანა სდგას და უყურებს, უყურებს და უსმენს ამ მძლავრს, სიცოცხლით სავსე ქალაქს.

იმისი პატარა შაქრო ამაღამ შინ არ არის; ბიძიამ იწვია დღესასწაულის გამო; დღესასწაულისავე გამო ქეთევანა საქმეს ვერ აკეთებს; ძილიც არ მოსდის; ახლო მეზობელი არა ჰყავს, რომ იმასთან ბაასით თავი შეიყოლიოს, და ისევ ქალაქს გადასცქერის.

ზემო სართულში ჩამი-ჩუმი არ არის. უცებ ვიწრო ბილიკზედ ჯოხის ბაკი-ბუკი მოისმა და მალე ქეთევანას მდგმური ჯოვანი ხენეშითა და ცხვირის სტვენით აბობღდა კიბეზედ; იმისის ჩასუქებულის გვამის გამო პატარა კიბეს ზანზარი გაუდის. პატარა ფიცრულის ოთახი, რომელშიაც ჯოვანი შევიდა, სრულის დუმილით იყო მოცული. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, თუმცა იმ სამს არსებას, რომელნიც იმ ოთახში იყვნენ, ძილი ფიქრადაც არ მოსვლიათ და სრულის სიფხიზლით ჰფიქრობდნენ თავისს უნუგეშო ყოფაზედ.

პატარა რვა წლის გოგო, მუდმივის მწუხარებისა და ჯავრების გამო უდროვოდ დაბრძენებული და გულგატეხილი, მიჰყუდებოდა პაწაწკინა ფანჯარას და გადაჰყურებდა გაჩაღებულს, ზღვასავით მღელვარე ქალაქს. იმისი პატარა გონება ცხოველად ჰხედავდა იმ გაჩაღებულს სახლებში სითბოს, სიუხვეს, მოსვენებას, თავისავით პატარა გოგოებს, მორთულ - მოკაზმულებს, ბედნიერად მოცქრიალებს, მშობლის ალერსითა და ნებივრობით გალიმებულის პირი-სახით.

თითონ-კი ყველა ამას მოკლებული იყო, ყველა ეს მხოლოდ სიზმრად თუ მოეჩვენებოდა. ამისი მუდმივი დროს გატარება, რაც-კი თავი ახსოვდა, ის იყო, რომ თავისი პატარა და-ძმისათვის ედგო ყური, მოევლო, გაერთო, ხელში აეყვანა და ეტარებინა განუწყვეტლივ, ეტარებინა იქამდე, ვიდრე პაწია მკლავები დაიწყებდნენ თრთოლვას და უნებლიედ დაუშვებდნენ მძიმე ტვირთს არა ნაკლებ დაღლილსა და მთრთოლვარე მუხლებზედ.

მეორე წევრი ამ მდუმარე სახლობისა იყო დედა, ყვითლად ჩამომხმარი, ჯერ ძრიელ ყმაწვილი დედაკაცი. იმისს უდროვოდ დამჭკნარს პირისახეს კიდევ კარგად ეტყობოდა სინაზე და სინარნარე იტალიელის ქალის სიმშვენიერისა. ორად წელში მოხრილი, ჭუჭყიანს ჩითის კაბაში გახვეული იჯდა საცოდავი დედა ცალიერს ფიცარზედ რკინის ღუმელის წინ, რო-

გლოვლა და უწყსა. ამ სოფლების მდებარეობა, აქაური ოღრო-ჩოღრო ადგილები ხევ-ხუვში და ღრიანცები ვერაფერს სასიამოვნო სურათს წარმოადგენს. როგორც მთა ადგილებში, აქ ზამთარი შვიდს თვეს მეფობს და ზაფხული-კი ხუთსა. მიწაც მეტად უმოსავლოა; გარდა ქერისა არა მოჰყავსრა და ისიც ნაკლების ღირსებისა. ამისათვის ამ სოფლების მკვიდრნი უმეტეს ნაწილად მისდევენ ალებმიცემობასა და საქონლის გაშენებას.

დღემდე მთიული რაჭველები უფრო მადლიერნი იყვნენ თავისას ბედისა, რადგან თივა-საბალახოს ბაჟს, როგორც სახაზინო გლეხები, ნიხრით იხდიდნენ. ამ სამის წლის წინად მთის რაჭველები ნიხრისამებრ იხდიდნენ საბალახოს თითოეულ წვრილ-ფეხ საქონელზე, მაგალითად, ცხვარზე—2 კაპ., ძროხაზე, ხარზე, ცხენზე ორ-ორს შაურს და ფუთს თივაზე ორ კაპეიკს. 1885 წელს ნიხრი შეიცვალა და გადაჰხდათ ლებელებს თივა-საბალახოს ბაჟი—400 მანეთი, 1886 წელს—550 მანეთი, 1887 წ.—700 მანეთი და წელს ახალმა მეტყევემ ბ-ნმა ყ—მა გამოუცხადა ლებელებს, რომ თივა-საბალახოს ბაჟი 1907 მანეთი უნდა გადაიხადოთო. ამ ამბავმა მეტად შეაწუხა ლებელები. საცოდავად შესტიროდნენ ერთმანეთს: „რა ცოდვა გვეწიაო, სჩიოდნენ ლებელები: პირუტყვით ჩვენც მარტო ბალახით ვსცხოვრებდით და ესეც-კი მოგვესპოო. ან წავიჭიროთ ყელში ლელერჭები და ან პირდაპირ მთავრობას შევსჩივლოთ ჩვენი მდგომარეობა, თორემ სად შეგვიძლიან ამდენის ბაჟის გადახდაო". ბევრი იყარყაშეს, ბევრი იშავბედეს საწყალმა ლებელებმა, მაგრამ ბაჟის მიცემაზე მაინც ვერ დასთანხმდნენ. ბოლოს მთელმა საზოგადოებამ დაუჩოქა მეტყევეს და სთხოვა: მიეცა ცოტა ხნის ვადა, რომ ბაჟის შემცირებაზე ეთხოვნათ, სადაც ჯერ იყო. ამაზე მეტყევემ ასე უპასუხა: „წელს არას გზით არ შეიძლება თქვენის ბაჟის შემცირება; უსათუოდ უნდა გადაიხადოთ, რაც დანიშნულიაო". ილაჯ-გაწყვეტილმა ლებელებმა სულ უარი მოახსენეს ბაჟის გადახდაზე. მეტყევემ უბრძანა თავისს ამალას: „ყველა ტყის მცველებმა ლების სათიბ-საბალახოში მოიყარეთ თავი და ვინც საბალახოში შემოვა, ოქმი შეუდგინეთო. ბრძანება მეტყევისა მყის იქმნა ასრულებული და ტყის მცველები შეუდგნენ ოქმების წერას.

ამასობაში ლებელებმა აირჩიეს ორი კეთილ-საიმედო ვექილი და გაგზავნეს ქ. ქუთაისს სახელმწიფო ქონებათა მმართველთან—ბატონ გამრეკელთან უმორჩილესის თხოვნით. ღმერთმა ადღეგრძელოს ყოველი კეთილი კაცი და ბ-ნი გამრეკელიც. თხოვნა ვექილთა საბალახოს ბაჟის შემცირების შესახებ იქმნა შეწყნარებულ ბ-ნ გამრეკელის მიერ ამ ნაირად: შეწერილი ბაჟი 1907 მან. იქმნა შემცირებულ ხთას მანეთამდე, ხოლო ოქმები ყველა გააუქმა. ეს ამბავი ვექილებისავე ხელით მიერთვა ბ-ნს მეტყევეს.

⁂ ამ სამიოდე თვის წინად ბ-ნმა **ნ. მარმა** ჩვენს გაზეთში დაჰბეჭდა თავისი წერილი ძველის ქართულის წიგნის **„სიბრძნე ბაჰლავარის"** შესახებ. იმავე ბ-ნს მარს, როგორც გაზეთი „Новое Время" გვატყობინებს, პეტერბურგში, 29-ს წარსულის თვისას, საარხეოლოგიო საზოგადოების განყოფილებაში, რომელიც იძიებს და იკვლევს აღმოსავლეთის ქვეყნების წარსულს ვითარებასა და მწერლობას, წაუკითხავს მოხსენება „სიბრძნე ბაჰლავარის" შესახებ და დაწვრილებით განუმარტავს თავისი აზრი. ბ-ნი მარი ამტკიცებს, რომ „სიბრძნე ბაჰლავარისა", როგორც თვით ნაწერის ენას ეტყობა, ქართულად დაწერილი უნდა იყოს მე-IX—XI-ე საუკუნეში და ბერძნულად წმ. ევთიმეს უნდა გადეეღოსო.

⁂ იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ბ-ნს სახელმწიფო ქონებათა მინისტრს სტატს-სეკრეტარს **მ. ნ. ოსტროვსკის** სახელმწიფო საბჭოსათვის წარუდგენია პროექტი იმის შესახებ, რომ **ტფილისში** დაარსებულ იქმნას აბრეშუმეულობის ხელ-შემწყობი სადგური.

◆◆

დრამატიულ საზოგადოების მმართველობის წევრსა „ივერიის" რეცენზენტისაგან.

ერთი წევრი ზემო აღნიშნულ საზოგადოების მმართველობისა ძალიან ატკეცილა ჩვენის რეცენზენტის შენიშვნის გამო შესახებ 4-ს ოქტომბრის ქართულის წარმოდგენისა. ატკეცა დიდი არაფერია, ატკეცა ჩალას მოკიდებული ცეცხლია, როგორც მალე აპრიალდება, ისეც მალე ჩაქრება ხოლმე და თუმცა, მართალია, მერე მარტო ნაცარი ჰრჩება, მაგრამ ისეთი სუბუქი ნაცარია, რომ ერთი პაწია ნიავი და განიბნევა ჰაერში, ვითარცა ფერფლი. ეს ნიავი უკვე მიუვიდოდა ბ-ნს წევრს და ეხლა გულ-დამშვიდებული იქნება და ამიტომაც ჩვენ იმის აპილპილებაზედ არას ვიტყვით. ჩვენ მარტო სამს ფრიად უცნაურს მოსაზრებას ბ-ნ წევრისას მივაქცევთ ყურადღებას, უფრო იმიტომ-რომ, თუ ბ-ნმა წევრმა დრამატიულ საზოგადოების მმართველობისამ მაგ მოსაზრებაზედ აუშენა საზოგადოებას ციხე-დარბაზი, იმ ციხე-დარბაზში თაგვების დოღი თუ გაიმართება, თორემ სათეატრო იქ არა იქნება-რა.

ბ-ნი წევრი იმითი გვიმტკიცებს „ქმრების დამონავების" სიტურფე-სიკეკლუცეს, რომ ასტროვსკის მიერ შედგენილი პიესაა და განა შესაძლოა ამისთანა კაცის ნაწერი უშნო და უგემური იყოსო. ძალიან კარგად შეიძლება, ჯერ იმიტომ-რომ მზესაც ლაქები აქვს და მერე იმიტომ-რომ ასტროვსკი არც ისეთი დიდებული მწერალია, რომ მარტო იმისმა სახელმა რკინა ოქროდ აქციოს, ცუდი კარგად. მეორე საბუთი ბ-ნ წევრისა ასტროვსკის პიესის საქებლად ის არის, რომ „მმართველობას არსად არ ამოუკითხავს, რომ ვილდეს უკეთესი პიესა ასტროვსკის უკანასკნელ პიესასა სჯობდესო". როგორ მოგწონთ საბუთი! ის-კი ამოგიკითხავთ სადმე, რომ ბ-ნ სანდალას უკეთესი ნაჯღაბნი ბრანდესის უკანასკნელს ნაწერსა სჯობდეს? რაკი ეს არ „ამოუკითხავთ", მაშ ბრანდესის ნაწერზედ კაცმა თავისი საკუთარი სჯა არ უნდა იქონიოს და არ-მოსაწონი არ უნდა დაიწუნოს? ეს რა ადლი აულია ხელში ჩვენს ბ-ნს წევრს პიესების ავ-კარგიანობის გასაკითხავად? მაშ კაცს თავისი არაფერი არ უნდა ებადებოდეს და მარტო ამოკითხულით უნდა იკვებებოდეს? თქვენ „ამოკითხვას" რას დაეძებთ? ეგ ასტროვსკის პიესა ხომ თვალ-წინ გიდევთ, აიღეთ, დაიდეთ, თუ კარგია, სთქვით კარგია, თუ ცუდია—ცუდია-თქო. აქ ლობე-ყურეს მოდება ფონს ვერ გაიყვანს კაცსა. მოგახსენებთ, არც ასტროვსკია, ჩვენის გულითადის აზრით, იმისთანა მწერალი, რომ იმისმა სახელმა კაცს თავბრუ დაასხას და, რაკი ასტროვსკია, წუნის დადება ვერ გაჰბედოს, და არც „ამონაკითხია" იმისთანა რამ, რომ კაცის გონებას საკუთარის მსჯელობის უნარი დაუკარგოს. „რაკი ჩვენს კრიტიკოსს, ამბობს ჩემზედ ბ-ნი წევრი: ასტროვსკი არ მოსწონს, იმას, რასაკვირველია, უნდა მოეწონოს ის ძველი ბალაგანური და კინტოური პიესები, რომელთ წარმოდგენა დრამატიულ საზოგადოებასაც და პუბლიკის განათლებულს ნაწილსაც სამარცხვინოდ მიაჩნიათ". ლოგიკამ რა მოგახსენოთ! ამისთანა გზას რომ დაევადგეთ, მართალი იქნება, ვინც იტყვის: რაკი ქართულის დრამატიულის საზოგადოების მმართველობა ამასა-და-ამას არ მოსწონს, რასაკვირველია, მიკიტანხანა უნდა მოეწონოსო. საიდამ სადაო, წმინდაო საბაო, ამაზეა ნათქვამი.

ყველაზედ უცნაური უკანასკნელი მოსაზრებაა ბ-ნის წევრისა, უცნაური-მეთქი, იმიტომ-რომ მეტის თქმა არ გვინდა. იგი ამბობს:

> ბოლოს ბ-ნი რეცენზენტი (ვითომ მე) ეკითხება თეატრის გამგებელთ: „ვინ დაჰრთო ნება ბ-ნს ყიფიანს, რომ ცალკე პირი პუბლიკისა ნიშნობლივ გამოიყვანოს სცენაზედ და სასაცილოდ აიგდოსო". ამაზედ შეიძლება ვკითხოთ ბ-ნს რეცენზენტს, უმატებს ბ-ნი წევრი: ვინ დაგრთოთ ნება იცნოთ სცენაზე ცალკე პირი პუბლიკისა ნიშნობლივ, როცა არავის განზრახვა არა ჰქონია ასეთი უკადრისი საქციელი.

ეს არის, ფრანგები რომ იტყვიან, შედევრი და გვირგვინი ყოველის თქმულისა ბ-ნ წევრის მიერ. „ვინ დაგრთოთ ნება იცნოთო ცალკე პირი რომ გვეკითხება, ჩვენც ვუპასუხებთ: ჩვენმა თვალმა და ჩვენმა ყურმა. მაშ ნუ დაეინახავთ, რასაც თვალი ჰხედავს და ნუ გაეიგონებთ, რაც ყურს ესმის. თუ ამას იქით ბ-ნი წევრი მმართველობისა მიგვიწვევს თეატრში იმ პირობით, რომ თვალებზედ ხელი ავიფაროთ და ყურებში თითი დავიცოთ, ეგ სხვა იქნება. ვაი ჩვენს ყოფას, თუ დანარჩენნი წევრნიც მმართველობისანი დაუჯერებენ ამ თავის ამხანაგს წევრს და აგვიკრძალავენ: რასაც ვუყურებთ, ის არა ვნახოთ და რაც გვესმის, ის არ გავიგონოთ.

ეს ღა გვაკლია ყოველს სიკეთეს თან,

მელშიაც ოდნავ ჰქუტავდა ნედლი ნაფოტი, და კალთაში გადასვენებული ჰყვანდა წლი-ნახევრის თვალებ-გაჭყეტილი ბავშვი. ბავშვის თვალები აღარ ხამხამებდა, ბავშვის პირი უსიცოცხლოდ იყო გაყინული, იმისი პატარა ხელ-ფეხი ხესავით იყო დაჭიმული, მხოლოდ პატარა გული და სცემდა კიდევ და ამ გულის ცემას ყურს უგდებდა განაბული, გაყუჩებული მშობელი, თითქო საცაა ამისი გულიც გაჩერდება და შესწყვეტს ძგერასაო.

ჯოვანი ერთს წამსაც არ შეაყენა, არ შეაფიქრა ამ საზარელმა სურათმა. იმან მრისხანედ მოაგონა ცოლს, რომ რვა საათია და შენ-კი ჯერ ჩაცმული არა ხარ ტრახტირში წასასვლელადაო:

— შენ ძრიელ ხშირად ივიწყებ, ქალბატონო, შენს მოვალეობას! განა ყოველთვის მე უნდა მოგაგონო, რომ წასასვლელი ხარ-მეთქი?—დაელაპარაკა მრისხანედ ქმარი ცოლს.

— ტრახტირში!?.. არა, დღეს არ შემიძლიან იქ ვიმღერო. ხომ ჰხედავ, პატარა ჟოზეფინა სულთ-მობრძავია,—გულის გამგმირავის ღაღადით შესთხოვდა ცოლი ჯოვანს.

— არ შეგიძლიან?! არ შეგიძლიან! ჰმ, მაშ მე იმ ალაგზედ ხელი უნდა ავიღო? განა შენ არ მოგეხსენება, რომ ჩემი მტერი, ნიკოლაი ვენგერი, გაფაციცებული უყურებს, რომ ფეხი წამიბორძიკდეს და ჩემი ადგილი იმან დაიჭიროს? დღეს, ამ დიდს დღესასწაულს დღეს, შენ რომ არ იმღერო, ხვალ განა მაკარ ოსეფიჩი კარებს გაგვიღებს?

— არ შემიძლიან, არა, ძალას ნუ დამატან, შენის ღვთის გულისათვის, შემიბრალე, დახედე ამ შენ უბედურს ბავშვს, ნახე, ერთს საათსაც აღარ გაატანს, აბა როგორ დავტოვო უპატრონოდ. შემიბრალე ჯოვან, ერთხელ, ერთხელ ჩემს სიცოცხლეში აასრულე ჩემი თხოვნა. მომეც ნება ჩემს შვილს თვალი მე დავუხუჭო.

— ადექ, ხომ იცი მე გატყლარჭვა არ მიყვარს... ადელ, აქმო!—სასტიკად უბძანა მამამ ფანჯარასთან მოკანკალე პატარა გოგოს:—მოდი, ბავშვი აიყვანე, მანამ ჩვენ მოვალთ თვალი არ მოხუჭო, ბავშვს კარგად მოუარე, თორემ, ხომ იცი... პატარა ადელს შიშით გული გადმოუტრიალდა, საჩქაროზედ მოვიდა დედასთან და ბავშვის გაშეშებული, გაცივებული გვამი აიღო ხელში. შიშმა და ზარმა აიტანა უსუსური, მაგრამ ხმა-ამოუღებლივ დაეშვა დედის ალაგას, ცეცხლა-პირას, და გადაისვენა ბავშვი კალთაში.

უბედური დედა შეუდგა მორთვას: კედლიდგან ჩამოიღო შავი, ოცჯერ გარეცხილი და გადაკეთებული შალის კაბა და გადაიცვა თავზედ; შემდეგ გაჩერდა, თითქო დაავიწყდაო რას სჩადიოდა, და თვალი გაუშტერდა უაზროდ.

— ჩქარა, მეცხრე საათია! დაიღრიალა ჯოვანმა. ფერ-უმარილიც წაისვი; თავი ისე დაივარცხნე, რომ გიხდებოდეს; წელში გაიშალე. დღეს მრავალი შექეიფიანებული ყმაწვილ-კაცები იქმნებიან ტრახტირში, კარგი ფეშქაშები მოგველის.

— ოჰ, ოჰ... ფერ-უმარილიც... ღმერთო... სასოწარკვეთილებით ამოიკვნესა მარინამ, გამოისურმა თვალები და წარბებზედ შავი საღებავი გადაისვა.

ოცს წამს შემდეგ ჯოვანი თავისის ცოლით დიდრონის არფებით ხელში ნელ-ნელა ჩამოდიოდნენ კიბეზედ. ქმარმა ცოლს ხელი-ხელში გაუყარა და საჭიროც იყო: დედაკაცი ძლივს იდგა ფეხზედ. იმისი დავრდომილი სხეული ველარ იტანდა სულის მღელვარებას და წაქცევას ლამობდა.

— მაგრად იყავ!.. ჯერ დიდი გზა გვაქვს გასავლელი,—შეუტია ჯოვანმა და აუჩქარა ფეხი.

— ქეთევან... პატარას ახედე... მისუსტებულის ხმით შემოსძახა მარინამ ქეთევანას და მიიმალა სიბნელეში.

II

გოლოვინის პროსპექტზედ, შუა ბულვარზედ, ერთს უზარმაზარს სახლს ქვეშ, მძლავრად გაჩაღებულია მაკარ ოსეფიჩის «ტრახტირი». ორი დიდი დარბაზი, გაერთებული განიერის თაღით, მთლად გატენილია ხალხით. ყვითლად შეღებილს სტოლებზედ ბლომად აწყვია არაყისა და „პივის" ბოთლები, სტაქნები, თეფშები, მლაშე საჭმელები. ღამის თერთმეტი საათია. „პივისა" და არყის ოშხივრით გაქლინთული აქ მყოფი საზოგადოება ჰღელავს, ჰყვირის, ოხუნჯობს, ტაშს უკრავს, იცინის, ოხრავს და ხანდისხან აქ-იქ ტირილის ხმაც გაისმის. ჭაღები თუმცა ძრიელ გაჩაღებულია, მაგრამ იმათი შუქი საკმაოდ ველარ არღვევს ოთახის შეკრულს ჰაერს; პაპიროზისა და მრავალის ხალხის სუნთქვისაგან ბურუსი სდგას. მაკარ ოსეფიჩი დიდს სიხარულშია: ამაღამ ას თუმნამდინ ავიდა იმისი დახლი. „პივის" „ზაპასი" კიდეც შემოაკლდა და თავისს მეზობელს, შურით გასივებულს მეტრახტირე გრიქურას, გამოართვა. მაკარ ოსეფიჩი კარგადა ჰგრძნობს, რომ დღევანდელის, არა-ჩვეულებრივის შემოსავლის მიზეზი მარინა არის; გულში ჰფიქრობს კიდეც, რომ ერთი მანეთი უფეშქაშოს ამ ქალს, როცა ხალხი დაიშლება, და იმითი გადაუხადოს სამაგიერო.

მარინა ამაღლებულს ალაგასა სდგას, ფერ-უმარილ-წასმული, წარბებ გასურმული, წელში გაჭიმული და საკვირველის გრძნობით ჰმღერის. იმისს შავს, ნაკვერჩხალივით ანთებულს თვალებს ნაპერწკლები სცვივა; ხმაში რაღაც გამოუთქმელი სევდა, სიმწარე, ძალა და მასთან უძლურება იხატება. აქ მყოფი ხალხი სხვა-და-სხვა ნაირის გრძნობით ისმენს მარინას გალობას: ქალაქის კინტო ბიჭები, თითქო გრძნობით გატაცებულნი, ჩუმად სხედან და „პივის" ცარიელ სტაქნებს ჩასცქერიან; ხანში შესული, კანცელარიაში დიდის ხნის წერით მხრებში მოხრილი, ჩინოვნიკობა ოხრავს და იწირპლება, შტაბის ყმაწვილი „პისრები" ძალიან კოქინით აცხადებენ თავისს კმაყოფილებას; მხატვარი აისორები იცინიან, იღრიჭებიან; იღრიჯებიან იმისთვის, რომ სხვაფრივ არ შეუძლიანთ გამოჰხატონ თავიანთი გრძნობა და აღტაცება.

მარინა? მარინა რაღასა ჰგრძნობს? მარინა გმირულად სდგას თავისის ქმრის გვერდით და ასრულებს თავისს მოვალეობას: უკრავს არფას და ზედ დაჰმღერის. მარინა მღერის და ამ სიმღერით თავისის გულის დუღილს აცხადებს, სულის კვეთებას აშკარავებს, თავისს შეურაცხყოფას დასტირის; მღერის ისე, თითქო მოსთქვამს თავისს მწარე ბედსაო, თითქო ჰგლოვობს თავისს უდროოდ დამჭკნარს სიყმაწვილეს, თავისს სიმწარით სავსე სიცოცხლეს; მარინა მღერის და ეს სიმღერა უფრო ქვითინია და დუღილი გამწარებულის მშობლის გულისა; მარინა კვლავ მღერის, მღერის ისე, თითქო სიმწარით სავსე ხვედრის ფიალასა სცლისო, თავისს პატარა შვილებს ესალმებაო. მარინას გული საშინლადა სძგერს, მუხლები ეკეცება, ფერ-უმარილი ველარ იჭერს მკვდრის ფერს იმის სახისას. მარინას ხმა ნელ-ნელა ძირს ეშვება და ბოლოს ჩურჩულად-ღა მოისმის. ჯოვანი «პივის» მოწყალებით კარგ გუნებაზედ და თავისის ძხვევით დატენილის თითებით უკრავს თავისს საკრავს... უცებ ძირს რაღაც დაეცა, ჯოვანი შეკრთა და სიმები დაწყვიტა; ხალხი აირ-დაირია; მათ წინ ეგდო უსულო გვამი მარინასი.

ეკ. გაბაშვილისა

(შემდეგი იქნება)

რომ ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ აფიშაზე გამოაცხადოს ხოლმე, როდის და რა პიესებში ნებას გვაძლევს ვუყუროთ, რომ დავინახოთ და ვისმინოთ, რომ გავიგონოთ და როდის არ შეიძლება. არა, ეს რაღაც ბაბილონის გოდოლის აშენებას მოვესწარით.

რეცენზენტი

◆

ორიოდე სიტყვა აისორებზე

საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში, როგორც ვიცით, სცხოვრებს მრავალის ტომისა და მილეთის ხალხი. აქვე სცხოვრებენ, სხვათა შორის, აისორები. ვის არ ენახება ეს მშრომელი, გამრჯელი ხალხი. აისორი წყლის მზიდველი ანუ მთულუხჩე ცნობილია მთელს ქალაქში. წყლის ზიდვა ცხენით, და ამ ბოლო დროს ბოჩკებითაც, აისორის საყვარელი ხელობაა. თითქო იგი ამ საქმისათვის არის დაბადებულიო. არ აშინებს არც სიცივე, არც ტალახი და არც პაპანაქება სიცხე. ყოველ გვარ ამინდს აისორი, ხშირად უფეხ-საცმელო, „ტოტებ-აკეცნწული“ თავისის თულუხებით დასაპალნებულ ცხენით, ერთ ნაირის მუყაითით მიცუხცუხებს წყლის ასავსებისკენ, რომ ყველას თავისს დროზედ მიაწოდოს ეს უსაჭიროესი სასმელი.

აისორები ქალაქში გადმოსულან ზოგი სოფ. კოილასარიდგან, ზოგი—სპარსეთიდგან და სხვ. აისორებზე, საზოგადოდ, ცნობებს გადმოგვცემს აისორივე, პავლე კიაზაშვილი, ტფილისის სემინარიაში კურს-შესრულებული და დღეს მასწავლებელი კოილასარის ერთკლასიან სასწავლებლისა.

აისორები*) სცხოვრებენ გარნიბასარის განყოფილებაში, ერევნის გუბერნიას. აქ გადმოსახლდნენ იგინი 1830 წელს სპარსეთიდგან, სადაც მათ ბარბაროსულად ეპყრობოდნენ. გადმოსახლებულთა რიცხვი იყო ასი კომლი. აღიარებდნენ ნესტორის სწავლას, ე. ი. სარწმუნოებით იყვნენ ნესტორიანები. მათი უმთავრესს სოფელს ჰქვიან კოილასარი. აქ დასახლების შემდეგ მოისურვეს მართლმადიდებელ ქრისტიანებრივ სარწმუნოების მიღება. თავისი სურვილი კიდეც განახორციელეს, იგინი მართლ-მადიდებლობაზე მოაქცია არქიმანდრიტმა მაისკიმ, რომელმაც სამლოცველოც დაუდგა—წმ. ქვირიკესა და ივლიტას სახელზედ; წირვა-ლოცვას მასვე აღასრულებდა ბერძნულს ენაზე. მას შემდეგ აისორების მოძღვრად საქართველოს ეგზარხოსმა ისიდორემ დანიშნა აისორი იოანე ილიანი. მან მოსძებნა აისორული ხელთ-ნაწერი წიგნები და მღვდელ-მოქმედების შესრულება დაიწყო აისორულსავე ენაზე. ილინს შემდეგ აისორების მოძღვრად იყვნენ საფონი, დავ. გურგენიძე, სიმ. ალახვერდიანოვი და სხვ., რომელთაც დიდი ავლენა ჰქონდათ ხალხის ყოფა-ქცევასა და ზნეობაზედ. საფონის მოღვაწეობით კოილასარს გაიმართა სასოფლო სკოლა.

აისორები სირიელ-ქალდეველთა შთამომავლებად ითვლებიან. თავისს მამათმთავრად იგინი სთვლიან ნიმროდს და ასურს. პირველს ხანში იგინი იყვნენ წარმართნი და თაყვანსა სცემდნენ პლანეტთა. ქრისტეს შემდეგ მიიღეს ქრისტიანობა პეტრესა და თომასაგან და ამ სარწმუნოებას მოწიწებით აღსრულებდნენ 489 წლამდე; ამ წელს ნესტორის მწვალებლობა მიიღეს. 640 წლამდე იგინი სპარსთა მფლობელობაში იყვნენ 640—1527 წლამდე-კი აისორებს რიგრიგად ჰფლობდნენ არაბნი და შემდეგ ოსმალნი 1599 წლამდე აისორნი მტკიცედ ადგნენ ნესტორიანობას, ხოლო ამ წელს კათოლიკეთა მისიონერებმა მათშიაც დანერგეს თესლი მწვალებლობისა. დღეს, კათოლიკე მისიონერებს გარდა, აისორთა შორის თავისის სარწმუნოების უპირატესობას ჰქადაგებენ აგრეთვე ინგლისელთა და ამერიკელთა მისიონერნიც.

ენა აისორთა მონათესავეა ძველის ებრაულ ენისა, რის გამო დღესაც აისორთა და ებრაელთ ადვილად ესმისთ ურთიერთის ლაპარაკი. კოილასარის აისორების სალაპარაკო ენა არის აისორული, ხოლო მეზობლად მოსახლე ხალხებთან საუბრობენ თათრულად. თუ აისორმა ცოლად ითხოვა სომხის ქალი, მაშინ იმისი სალაპარაკო ენაც თათრულია.

აისორთა წიგნები დაწერილია ძველ სირიელ-ქალდეურ ენაზედ, რომელიც ძლიან განირჩევა ახლანდელ სალაპარაკო ენისაგან. აისორთა ანბანი შესდგება 22 ასოსაგან. ხმოვანი ასო არის ოთხი.

წერილის ბოლოში ავტორს მოუყვანია თვით სახელწოდებანი ასოთა და მათი გამოხატულობა. ორს ასოს ჰქვიან ქართულის ასოების სახელი. მაგალითად ზენ, შინ. მესამე ასოს ავტორი გამოჰხატავს ქართულისავე ასო ჰ-თი.

აისორებს უჭირავთ 600 დღიური მიწა. იმათ მამულებს რწყავს მდ. გარნი, სადაც ქართველ მეფეებს არა ერთხელ ჰქონიათ სასტიკი ომი და ბრძოლა მტრებთან. აქ არის ძველი სიმაგრენი თორთვალყალასი, გარნისი, არდაშარსი, დუგუნსი და სხვ. (როგორც ვიცით, „თორთვალყალასი“ სახელ-წოდებით საინგილოშიაც არსებობს ერთი ძველი სიმაგრე).

კოილასარის ჰავა ზაფხულს ფრიად ცხელია, ზამთარში-კი ცივი, ყინვიანი. სიცხე აქ ადის 43°, ხოლო სიცივე 19° R. სამხრეთ დასავლეთის ქარს, რომელიც აქაურობის ხშირი სტუმარია, ჰქვიან ქოროღლის ქარი

აისორნი უმთავრესად მხვნელ-მთესველნი, მიწის მომუშავენი არიან. აქ სთესვენ პურს, ქერს, ბამბას, თამბაქოს, ნესვ-საზამთროს, ლობიოს, მუხუდოს და სხვას. აქვსთ ვენახები, თუმცა ღვინო მდაბალის ღირსებისა იცის. ყურძნის მარცვალს ქიშმიშად ახმობენ. ღვინოს სწურავენ ქვითკირის საწნახელში. უმეტესი ნაწილი ღვინისა და არაყისა ადგილობრივ ისმევა მკვიდრთაგან. მიწას ჰხვნენ გუთნით. ბამბას სთესვენ ადგილობრივსა და ფრანგულს. პირველი თუმცა ღირსებით მდარეა მეორეზედ, მაგრამ მეურნეობისათვის უფრო სალ-მიმცემია, რადგან ყოველ გვარი მავნებელი მწერი ისე ვერ ანადგურებს, როგორც მეორეს.

საქონელი აქ იცის: კამბეჩი, ცხენი, ხარი, ძროხა. ცხვარს თითქმის არ აჩენენ. მთელს კოილასში რამდენიმე ცხვარი ჰყავს მხოლოდ სამ კაცს. შინაურ ფრინველთაგან აქ იცის მხოლოდ ქათამი.

ვაჭრობა და აღებ-მიცემა აისორებისა კოილარსა და ერევანს არის სცდება. ჰყიდიან ყურძენს, ღვინოს, არაყს, ბოსტნეულს და სხვ. სავაჭრო საქონელი 1870 წლამდე გადაჰქონდათ მეტად თავისებურ ურმით. იგი იყო სამკუთხე, რამდენადმე მსგავსი იმერულის ურმისა და შიგ აბამდნენ ყვავარ კამბეჩს, ან ხარს. ეხლა-კი ახალი ურმები შემოიღეს, რომელშიაც აბამენ ერთს უღელს ხარს, ან კამბეჩს.

აქაური ნიადაგი თუმცა ნაყოფიერია და ხალხიც მშრომელი, მაგრამ მცხოვრებნი მაინც ღარიბნი არიან. ამისი მიზეზი, სხვათა შორის, არის ბუნების ყოველ წლიური მოვლენანი (სეტყვა, ყინვა და სხვანი), მავნებელი მწერები და აგრეთვე ღალა. მეათე ნაწილი შემოსავლის მიწის პატრონისაა, ესე იგი მემამულე ბატონისა. ფულის მესესხებლნი მეჯიხოსანნიც ულმობლად იქცევიან; რაც უნდა გიჭირდეს, ას მანათს 24—30 მან. სარგებელ ნაკლებ არ გასესხებენ 1881 წ. კოილასარს გაიმართა სასოფლო პურის მაღაზია.

აისორი მუსათანა ტანისაა, კარგად ჩასხმული, შავგვრემანი, შავ-თმიანი, განიერ-შუბლიანი. აისორი აისორს რომ შეხვდება, ეტყვის შლამალეხ (მშვიდობა შენდა), სხვა ტომის კაცს-კი—ალოს სახლასინ (ღმერთმა დაგიფაროს). უმცროსი უფროსს ფეხზე წამოუდგება. აისორი პურადია, ღვთისნიერი და კაცთმოყვარე.

სახლ კარი აისორისა ფრიად უბრალოა, სიღარიბისა და მოუწყობლობის ნიშანი ატყვია. ტანსაცმელიც უბრალოა, ადგილობრივი. ბოლო დრომდე ყველა საცმელი იკერებოდა ადგილობრივ მოქსოვილ მატერიიდგან—გრივადამ. გრივას ჰქსოვდნენ ბამბის ძაფისაგან. ახლა-კი გრივას მაგიერ ბევრნი ერევანში ჩითს ჰყიდულობენ. დედაკაცებს, სხვათა შორის, აცვიათ ჩითის შარვლები, გულზედ აქვსთ გაკეთებული ვერცხლის ზანითი (ჩაფარასტი) და შუბლზედაც ამ გვარივე ჯინჯილი, მხოლოდ ოქროსი. დედაკაცი არ ერიდება მამაკაცს, ერთად მუშაობენ, ერთად დროს ატარებენ, ცეკვავენ, მღერიან, ხოლო ვაი იმ მამაკაცს, თუ როგორმე შეურაცხ-ჰყო დედაკაცი: ჩააქავებენ.

აისორნი მღერიან თათრულად. სიმღერის შინაარსი აღებულია აისორების ცხოვრებიდამ. იმათ ძალიან უყვარსთ სიმღერა და თავისი აშუღები. იმათი სიმღერა მრავალ ნაირია: მგისა, ხვნა-თესვისა და სხვ. ზოგს სიმღერაში აღწერილია სიყვარული; მეტად გულ-საკლავი მოსასმენია აისორული ნანა. რამდენიმე გამოცანა და ანდაზა, რომელიც ჩაუწერია კიაზაშვილს, გვატყობინებს აგრეთვე ხალხის შეხედულებას ცხოვრებასა და ბუნებაზედ. საინტერესოა აგრეთვე აისორული ქორწილი.

აისორთა ქორწილი იცოდნენ ექვსს დღეს, ეხლა-კი მხოლოდ ოთხსა. პირველ დღეს კაცის მამა დაჰკლავს ხარს, რომლის გარეშემო ამ დროს სცეკვავენ ქალ-ვაჟნი ზურნაზედ. მერე ერთ-ერთი ნათესავ ქალთაგანი ხმლის ბალახების კონით ხელში და ერთ-ერთი ნათესავი ვაჟი ღვინითა და «ბუზიკით» წავლენ სოფელში სტუმრების მოსაწვევად. ქალი მიაწვდის თითო ბალახსა და ვაჟი—ჭიქა ღვინოს ლამბაქზე. თუ მიიღო სახლის პატრონმა, ეს ნიშანია იმისი, რომ ქორწილში გესტუმრებითო. ასე დაუძახებენ ყველას. ცეკვის შემდეგ ჰკინით იღებავენ ხელებს. ჯერ შეუღებავენ სამეფოს, მერე მიდიან საპატარძლოსას და იმასაც უღებავენ. შემდეგ-კი ყველანი იღებავენ მოწვეულნი ახალგაზრდანიც. მეორე დღეს საპატარძლოს მამის სახლიდამ წაიყვანენ ნათლიისას. წაყვანამდე შეჰმოსავენ, მერე იგი სამჯერ შემოუვლის თონეს, მივა დედ-მამასთან, ხელფეხს დაუკოცნის, ყმაწვილებს ეამბორება და დედ-მამაც დალოცავს. ნათესავები სტირიან. მერე ცხენზე შესვამენ ქალს და წაიყვანენ ნათესავებისას, რომელნიც რასმე უფეშქაშებენ. ამ დროს რომელსამე სახლის ბანზედ ზის სამეფო თავისის ტოლ-ამხანაგებით და ღვინოს მიირთმევს. საპატარძლო რომ გამოივლის, სამს ვაშლს ესვრის: პირველი ვაშლი სამღვთოდ ითვლება. ამას შემდეგ საპატარძლო ნათლიისას ჩამოხტება. სამეფო-კი შინ წავა, სადაც გაჩაღებული სტუმრობაა. მესამე დღეს ეკკლესიაში ჯვარს დასწერენ. იქიდგან დაბრუნებისას მეფე-დედოფალი ერთად მიდიან და სცდილობენ, რომ შუაში არავინ გაურბინოთ და ამით მთელს სიცოცხლეში უბედურება არ შეიქმნეს. ქორწილის დასრულებისას ჰკრეფენ საბახტას (შაბაშს)

მშობიარე დედაკაცს პატივით ეპყრობიან, აწვენენ თბილსა და სუფთა სადგურში. ღამე მშობიარესთან იკრიბებიან ნათესავი ქალები და ართობენ ავადმყოფს. თუ მშობიარეს გაუძნელდა შობა, დაანთებენ ცეცხლს და გადაასტუნებენ ავადმყოფს. შობის შემდეგ ჩჩვილს ჩვრებში გახვევენ და დედას-კი თბილს ლოგინში ჩააწვენენ. მოუხარშვენ და აჭმევენ ტკბილსა და ნოყიერს საჭმელს. მეორე დღეს ყრმას აბანებენ მარილიანს თბილს წყალში.

აისორნი ცრუ მორწმუნეობასაც არ არიან მოკლებულნი. ოთხშაბათი და პარასკევი ბოროტ არსებათა დღენია. ეს არსებანი მტრულად ეპყრობიან იმ დედაკაცებს, რომელნიც ამ დღეებში ან ჰრეცხავენ სარეცხს და ან ბანაობენ. ექვსი ივლისი გველაშაპის (მარიამუმ) დღედ მიაჩნიათ და არ უნდა იმუშაო, რომ არ გიკბინოს. სამს აგვისტოს დღესასწაულობენ პატიკად გირთა (პალმა ხმარი); არც ამ დღეს უნდა იმუშაო, რომ ყბა არ გაგიმრუდდეს. ბოსლებში მუდამ სცხოვრებენ ბოროტი სულები (დეშაბასტაი). იგინი სდევნიან დედაკაცებს. ბოროტი სული ფრიად ემტერება მშობიარეს, რომელსაც თავ-ქვეშ 7 დღის განმავლობამდე დაუდებენ ხოლმე ხანჯალსა და სახარებას, ბოროტი სული ვერ მიეკარება ავადმყოფსაო. აისორებს სწამთ, რომ ღამ-ღამე დადიან მაღალი კაცები გრძელ-მკლავებიანი და მაღალ-ფეხებიანი და იგინი, ვითარცა ნადირნი, ეძებენ საჭმელს.

კიდევ ბევრი საინტერესო ცნობებია კიაზაშვილის წერილში, მაგრამ დღეს ჩვენ ყველას ვერ გამოვეკიდებით. აისორთაგან ამ 20—25 წელში არა ერთმა მიიღო რიგიანი განათლება ტფილისის სასულიერო სემინარიაში და დღეს შეძლებისამებრ ემსახურებიან თავისის გვარტომის ხალხს.

მ. ჯანაშვილი

---

*) ეს ცნობები მოგვყავს პ. კიაზაშვილის წერილიდამ „Нѣкот. свѣд. о сел. Койласори и объ Айсорахъ“ (იხ. Сбор. мат. для опис. мѣст. и плем. Кав., გამოც. IV).

◆

უცხოეთი

საფრანგეთი. სადა წვრილია, იქა წყდება. ბულანჟეობასაც სწორედ ასე მოსდის. ჰფიქრობენ, რომ ბულანჟეს საქმე მალე უკუღმა დატრიალდება და თვით ბულანჟეს სახელსაც ანდერძი აეგებაო. აი საქმე რაშია: აქამდე ბულანჟე ორს დასს, სრულიად სხვა-და-სხვას, ეწონებოდა, რადიკალებსაცა და მონარხისტებსაც. იმის მომხრეთა შორის იყვნენ ისეთი რადიკალებიცა, როგორნიც არიან როშფორი, ლაგერი, ნაკე, და ისეთი მონარხისტებიც, როგორიც, მაგალითად, ტიებო, გრაფი დილლონი. ბულანჟე იმათაც თავს უქონიებდა და ამათაც. ორივე დასის მომხრეობა უნდოდა და საჭიროც იყო. ერთისა ან მეორეს ღალატი პირ-ქვე დაამხობდა ბულანჟეს საქმეს. ამ პირმა ბულანჟეობისამ დიდხანს მალა თავი. ოფიციალურად გენერლის შტაბში რადიკალები იყვნენ. ლაგერი და ნაკე აკეთებდნენ გენერლის ყველა საქმეებს, უწერდნენ წერილებს, მანიფესტებს, ლაპარაკობდნენ იმისის სახელით. ხოლო მონარხისტები არ ჩნდნენ თავს და ჩუმად ეხმარებოდნენ ბულანჟეს არჩევანების დროს. ბოლოს ამათაც მოინდომეს, რომ გამოჩენილიყვნენ. აქ-კი გაუჭირდა საქმე ბულანჟეს, რადგან იმათი გამოჩენა არ ინდომეს რადიკალებმა. ბულანჟე ხან აქეთ ეცა, ხან იქით, ბევრს გაძვრა-გამოძვრა, მაგრამ პირმა მაინც თავი ვერ დამალა და ბოლოს ცხადად გამოაშკარავდა, თუ რა ხალხთანაც ჰქონია დაჭერილი გენერალს საქმე. საჭიროა მხოლოდ, რომ მალე მთელმა საფრანგეთმაც გაიგოს ეს და მხარი მისცეს დღევანდელს ლიბერალს სამინისტროს.

ინგლისი. 26 სექტემბერს ჯონ მორლეი ველსში იყო. ორატორმა წარმოსთქვა იქ დიდი სიტყვა ველსის საქმის გამო. ხალხი დიდ-ძალი იყო და აღტაცებით ისმენდა ჯონ მორლეის ლაპარაკს. თავისს სიტყვაში მორლეიმ სთქვა, სხვათა შორის, რომ დღევანდელის სამინისტროს პოლიტიკამ ვერა მოახერხა-რა ირლანდიაში და ვერც ქვეყანა დაამშვიდაო. ამ პოლიტიკამაო,—განაგრძო ორატორმა,—ერთი საყურადღებო საგანიც ვერ გადასწყვიტა სასურველად. კონსერვატორები გვამტყუნებენ, რომ ვითომ ლიბერალების პროგრამამა და უფრო ირლანდიის ჰომრულმა დაჰბადა ველსშიაც სურვილი თვით-მმართველობისაო. ეს ტყუილი ცილის წამებაა. თვით-მმართველობის სურვილიცა და ბევრის სხვა კეთილისაცა ჩვენ-კი არ დავბადეთ, საარჩევნო უფლების გავრცელებამ გამოიწვია. ამ უფლებამ მისცა ნება ხალხს ცხადად გამოეთქვა თავისი სურვილი და მთავრობამაც მხოლოდ მაშინ დაინახა, რა უნდა და რა ეჭირება ერს. დღევანდელის სამინისტროს წყალობით ველსისთვის დიდად საყურადღებო საქმეები შეჩერებულია და არავინ არის მათი გამკეთებელი. სწავლა-განათლებისა და საადგილ-მამულო რეფორმის საქმე სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული. ჩვენის ქვეყნის ზრუნვა დღეს ის უნდა იყოს, რომ ველსშიაც, ირლანდიაშიაცა და შოტლანდიაშიაც ისეთი წესი დამყარდეს, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდეს დაკმაყოფილება განსაკუთრებულის ადგილობრივის ინტერესებისა, იმდენად, რამდენადაც იგი დაკმაყოფილება არას დაუშლის მთელის სახელმწიფოს ბედნიერებასაო.

◆◆

წვრილი ამბები

„Pall-Mall Gazette“-ში განცხადებაა დაბეჭდილი, რომ დაიბეჭდება ბიოგრაფია იმპერატორ ფრიდრიხ მე-III, რომელიც ერთის მაღალ წარჩინებულის კაცის მიერ არის დაწერილი და წინასიტყვაობა დედოფალ ვიქტორიასი აქვსო. ბიოგრაფიაში მოყვანილია ვრცლად ამბები იმპერატორის ცხოვრებიდგან და აგრეთვე იმისის ავადმყოფობის ვითარება. ამ წიგნიდგან შემოსული მოგება უნდა მიეცეს ინგლისის ყელით ავადმყოფთა სამკურნალოს, რომელიც თავის უკანასკნელად ლონდონში ყოფნის დროს განსვენებულმა იმპერატორმა დაათვალიერა.

— კონსტანციაში გარდაცვლილა პასტორი შლეიერი, ვოლაპუკის გამომგონი. დღეიდგან მვოლაპუკეთა უფროსად

შეიქმნება პარიჟის უმაღლესს საკომერციო სასწავლებლის უცხო ენათა პროფესორი გერგოფსი.

— პოლშელ სწავლულ კჩინსკის აღრიცხვით, ამ ჟამად მთელს ევროპაში 11.975,356 პოლშელი სცხოვრებს. ავსტრიაში, გალიციასა, ბუკოვინსა და სილეზიაში, სცხოვრებს 2.672,000 პოლშელი. თვით პოლშაში 5.400,000 მცხოვრებელია.

—გაზ. «Kuryer Warszawski»-ში ვკითხულობთ ერთს მეტად სასაცილო ამბავს: სოფიაში სცხოვრებს თურმე ვიღაც თერძი იანკო, რომელსაც ამ ქალაქის ერთს მიყრუებულს ქუჩაში უბრალო სახელოსნო ჰქონდა. უეცრად ერთს მშვენიერს დღეს იანკო უკვალოდ გაჰქრა. წარმოიდგინეთ გაოცება ნაცნობთა და მასლობელთა, როცა დაინახეს თურმე, რომ მთავრის სასახლიდგან თერძი იანკო გამობძანდა პოლიციის ოფიცრის ტანისამოსით. დიდხანს ეძიებდნენ მიზეზს ამ საკვირველის ცვლილებისას და ვერაფრით ახსნეს ეს საოცარი ამბავი, ვიდრე თვით თერძმა არა სთქვა: „ამოც-და-ხუთის წლის წინად ჩემთან მოიყვანეს ერთი თორმეტის წლის პატარა ბიჭი და მთხოვეს, რომ შენ იცი როგორც რიგიანს თერძობას ასწავლიო. საუბედუროდ, ბევრი ჩავჩიჩინე ახალს შეგირდს, მაგრამ ვერა გავაწყე-რა. ბოლოს დავრწმუნდი, რომ ყოველივე ცდა ამაო იყო და პატარა ბიჭს არავითარიმე ხალისი და ბეჯითობა არა ჰქონდა ჩემის ხელობის სწავლისა და ამიტომ, მეტი ღონე არა მქონდა, დავითხოვე“. და აი ეს დათხოვნილი უმაქნისი შეგირდი ეხლა გახლავსთ პირველი მინისტრი ბოლგარიისა სტამბულოვი. როცა იანკოს შეუტყვია ეს ამბავი და უცვნია თავისი ნაშეგირდალი, დიდის გულის მგერით გადაუწყვეტია, რომ ჩემს თავს მოვაგონებ და იქნება მიწყალობოს რამეო. აკანკალებული და აცახცახებული მისულა სასახლეში, სადაც სტამბულოვს დიდის სიყვარულით მიუღია. „თქვენ რომ მაშინ არ დაგვეთხოვნეთო—უთქვამს მინისტრთა თავ-მჯდომარეს,—მე ეხლა ამ ადგილას ვერ მომხვდავდითო“. შემდეგ რამდენისამე დღისა იანკოს წყალობა გამოსვლია და პოლიციის ოფიცრობა მიუღია. ამ ამბავს დიდი ალიაქოთი აუტეხნია სოფიაში. ყველაზედ სასაცილო უფრო ის არის, რომ ეხლა ხელოსნები თავისს შეგირდებს ითხოვენ თურმე, იქნება საბოლოოდ წინ წავიდნენ, გახდნენ რამე და ამით ჩვენი მდგომარეობაც განკარგდესო.

— ამას წინად პირველ ლამაზ ქალად აღიარებულს ქალს სპაში, მარტა სუგარეს, სამის დღის განმავლობაში ოთხმოც-და-ჩვიდმეტი მთხოვნელი გამოსჩენია, არც მეტი და არც ნაკლები. ეს მთხოვნელები სხვა-და სხვა ქვეყნელები არიან და თავისს სურვილს რუკარეს წერილებითა და დეპეშებითა სწერენ. ხოლო ქალი-კი არც ერთის თხოვნასა და ნებას არ დაჰყოლია და განზრახვა აქვს თურმე, რომ სცენაზე შევიდეს არტისტ-ქალად. უარის მიმღებელთა შორის არის ერთი ფრანგი გრაფი, რომელსაც გამოუცხადებია ამ ქალისათვის, რომ ჩემის ხელიდგან აგრე ადვილად ვერ დააღწევთ თავს და მანამდე არ მოგშორდებით, ვიდრე ჩემს სურვილს არ დაჰყვებითო.

დეპეშა

7 ოქტომბერი

პარიჟი. როიალისტების დასმა დღეს გამოსცა შემდეგი განცხადება: როიალისტების მემარჯვენე დასი სარგებლობს თავისის პირველის კრებით და აცხადებს, რომ მხოლოდ საეროვნო მონარქიის გრაფ პარიჟის ხელმძღვანელობით შეუძლიან საფრანგეთს აიცილოს ყოველ გვარი შიში, რომელიც ყოველს ჟამს მოსალოდნელიაო.

რომი. დღეს იმპერატორი ვილჰელმი უკანვე დაბრუნდა.

8 ოქტომბერი

ქაირი. დიდნი მთავარნი სერგეი და პავლე ალექსანდრეს ძენი და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული მობძანდნენ აქ შუალამისას. მათ უმაღლესობათ მიეგებნენ: ქედივი, მინისტრები, კონსულები, პოლკოვნიკი ტურნერი, ბრიტანიის ჯარის უფროსის მოადგილე, და გენერალიტეტი. ზარბაზნების სროლა იყო. ქუჩები გაივსო ხალხით, რომელიც დიდის აღტაცებით ეგებებოდა მათ უმაღლესობათ. ხვალ ქედივესას 80 კაცის სადილი მზადდება.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ოქტომბ.

	მყიდველთა.	გამყიდველთა.	გაყიდულთა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— „	— „	7 53
ტამოჟნის კუპონები	— „	— „	150
მანათიანი ვერცხლის ფული	1 13	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	262½
—მეორისა	— „	— „	237½
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ღვინობისთვე 31 დღით არის

9 დღე კვირა. მოციქ. იაკობისა და ათანასესი. კათოლ. ბოგდანისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-16 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45, ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 5—10. მთვარე 16 დღისაა.

10 დღე ორშაბათი. წამ. თეოფილესი. კათოლ. ფრანცისკასი. სომეხ. პოვნა წმ. გრიგოლის ნაწილთა. მუსულ. მე-17 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—21, ჩადის 5—8. მთვარე 17 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3½ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . 5 „
მე-2 ხარისხისა . 4 „
მე-3 — . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . „ „
„ 2 „ „

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათი.	მოდის წამი.	გადის საათი.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათი.	მოდის წამი.	გადის საათი.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	49	ბათუმი	—	—	8	4
ავჭალა	9	9	9	11	ქობულეთი	8	54	8	57
მცხეთა	9	32	9	40	ნატანები	9	25	9	29
ქსანი	0	03	10	05	სუფსა	9	55	10	2
კასპი	10	33	10	36	ლანჩხუთი	10	35	10	39
გრაკალი	10	59	11	1	ნიგოითი	10	51	10	53
გორი	11	25	11	40	საჯავახო	11	14	11	16
ქარელი	12	08	12	11	სამტრედია	11	33	11	51
გომი	12	37	12	41	კოპიტნარი	12	13	12	16
ხაშური	11	02	1	17	რიონი	12	47	1	2
სურამი	1	29	1	32	აჯამეთი	1	15	1	18
ფონი	2	—	2	03	ყვირილა	1	58	2	10
ბეჟათუბანი	2	56	3	16	ძირულა	2	48	2	50
მარელისი	3	45	3	48	ბელაგორი	3	17	3	20
ბელაგორი	4	15	4	18	მარელისი	3	47	3	49
ძირულა	4	45	4	48	ბეჟათუბანი	4	18	4	37
ყვირილა	5	26	5	40	ფონი	5	30	5	34
აჯამეთი	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	2	6	5
რიონი	6	29	6	44	ხაშური	6	17	6	32
კოპიტნარი	7	08	7	10	გომი	6	50	6	54
სამტრედია	7	29	7	49	ქარელი	7	16	7	19
საჯავახო	8	05	8	07	გორი	7	44	7	54
ნიგოითი	8	27	8	30	გრაკალი	8	15	8	17
ლანჩხუთი	8	42	8	46	კასპი	8	40	8	43
სუფსა	9	19	9	27	ქსანი	9	7	9	9
ნატანები	9	52	9	55	მცხეთა	9	28	9	34
ქობულეთი	10	22	10	25	ავჭალა	9	52	9	54
ბათუმი	11	13	—	—	ტფილისი	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	21	სურამი	—	—	2	59
ავჭალა	3	46	3	49	ხაშური	3	11	3	27
მცხეთა	4	19	4	25	გომი	3	50	3	55
ქსანი	4	49	4	52	ქარელი	4	24	4	31
კასპი	5	24	5	29	გორი	5	4	5	19
გრაკალი	6	—	6	3	გრაკალი	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი	6	31	6	45	კასპი	6	18	6	24
ქარელი	7	18	7	24	ქსანი	6	55	6	59
გომი	7	53	8	1	მცხეთა	7	24	7	32
ხაშური	8	54	8	38	ავჭალა	7	55	7	58
სურამი	8	50	—	—	ტფილისი	8	24	—	—

გამოვიდა და ისყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში
ვალიკო გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული
სახალხო კალენდარი
1889 წლისა.
ფასი ორი შაური.
ამ მოკლეს ხანში გამოვა იმავე გუნიას დიდი და ვრცელი
„საქართველოს კალენდარი“. 10—4

Въ центральной книжной торговлѣ, въ Тифлисѣ, находится складъ нижеслѣдующихъ книгъ:

Захаровъ. Собраніе примѣровъ для письменнаго исчисленія, изд, 8-е цѣна 20 к.

Вересовъ. Рисованіе по сѣткѣ. Для самостоятельныхъ занятій дѣтей въ школѣ и дома, изд. 2-е ц. 20 к.

Дрбоглавъ. Пособіе для первоначальнаго обученія латинскому языку, курсъ 1 и 2 классовъ. ц. 80 к.

„ Опытъ методики первоначальнаго обученія латинскому языку, курсъ 1 и 2 классовъ. ц. 80 к.

Ракушанъ. Arriani anabasis. Для учениковъ 3 класса гимназій и прогимназій. ц. 65 к.

Агніевъ. Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школъ. ц. 40 к.

Беккъ. Энциклопедія теоретической философіи. ц. 1 р. 20 к.

Вейденбаумъ. Путеводитель по Кавказу, съ 12 рисунками и картою Кавказа. ц. 3 р. 50 к.

Чубиновъ. Русско-Грузинскій словарь.

Тамъ-же заготовленъ большой запасъ учебниковъ къ предстоящему учебному году. (5—5)

ნამდვილი საუნჯეა
ყველასთვის განთქმული წიგნი
თავის მოვლა
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—40)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან	„	40
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ	„	15
სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა	›	40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ.	1	50
II ნაწ.	1	50
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა	„	15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა	„	40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ	„	30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა	„	50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც.	3	„
მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა	„	25
გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა	„	25
ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა	1	„
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა	„	40
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა	„	15
გულივერის მოგზაურობა	„	50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	20
ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ	„	50
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე)	3	50
ვაზის ობი	„	10
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი	„	30
ლოცვანი, ღამბაშიძისა	„	30
სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან	„	5
მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა	„	5

Доз. ценз. Тифлисъ, 8-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე